

# წყლის ობიექტების მიმდებარე ტერიტორიის სანიტარული ზონის სიგანის დადგენა

*დავით კერესელიძე, ვაჟა ტრაპაიძე, გიორგი ბრეგვაძე*

ელ.ფოსტა: [davit.kereselidze@tsu.ge](mailto:davit.kereselidze@tsu.ge);

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

წყლის იმ ობიექტების დაცვის მიზნით, რომელსაც იყენებენ სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის, იქმნება სანიტარული დაცვის ზონები. წყლის ობიექტებში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები ზედაპირული, თხიერი და მყარი ჩამონადენის გარდა ხვდება მიწისქვეშა წყლებითაც. მართლაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობებიდან ხდება წყლის გარკვეული რაოდენობის ინფილტრაცია მასში გახსნილი სხვადასხვა ქიმურ და ბიოლოგიურ ელემენტებთან ერთად ის ხვდება წყლის ობიექტებში. ასევე უნდა ავლნიშნოთ რომ ეს პროცესი დამოკიდებულია წყლის ობიექტებში დონეების რეჟიმზე.

მეტად პრობლემურია სანიტარული დაცვის ზონის და მისი სარტყლების საზღვრების დადგენა, ვინაიდან იგი დაკავშირებულია მკაცრ შეზღუდვებთან, რაც გამოიხატება ადამიანთა ცხოვრებასთან და დროებით ყოფნასთან, საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების განთავსებასთან; ინერტული მასალის მოპოვებასთან ჩამდინარე წყლების ჩაშვებასთან, ბანაობასთან, პირუტყვის ძოვებასთან, რეცხვასთან, თევზჭერასთან, შხამქიმიკატების გამოყენებასთან და.აშ.

სანიტარული დაცვის ზონის სიგანის დაასადგენად ვიყენებთ წყლის არასტაციონალური ფილტრაციის დიფერენციალური განტოლებას, რომელიც მოიცავს ფილტრაციის, სიჩქარისა და ინტენსივობის მდგენელებს. ამ განტოლების ორჯერ გაინტეგრალება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ წყლის ობიექტებში გაჭუჭყიანებული ფილტრაციული წყლების არ შეღწევის პირობა და დავადგინოთ ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიტარული ზონის სიგანე.